

## სტუდენტის და პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის საფუძვლები

### სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება გულისხმობს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბნსუ-ს და სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით განთავისუფლებას სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია არაუმეტეს 05 წლის ვადით, რის შემდეგ პირს შეუწყდება სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ბნსუ-ში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია: 1) სტატუსის შეჩერების შესახებ სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენლის) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე), 2) უცხო ქვეყანაში საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა), 3) ორსულობა, 4) მშობიარობა, 5) ბავშვის მოვლა, 6) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, 7) ადმინისტრაციული და/ან ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელიობა, 8) ფინანსური დავალიანება, ფინანსური ვალდებულებების/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, 9) საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება (თუ გაუქმებული პროგრამის სტუდენტმა/პროფესიულმა სტუდენტმა არ ისარგებლა მობილობის უფლებით), 9) სამართლებრივი დევნის დაწყება ან სასამართლოს განაჩენის ძალაში შესვლა, თუ ეს გამორიცხავს სასწავლო პროცესში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ჩართულობის შესაძლებლობას. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის გადაწყვეტილებით სტატუსის შეჩერება შესაძლებელია სწავლების ნებისმიერ ეტაპზე.

### სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

ბნსუ-ში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია: 1) სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლიანი ვადის გასვლა (გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევისა); 2) სტატუსის შეწყვეტის შესახებ სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენლის) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე); 3) მობილობით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება; 4) საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულება; 5) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა (პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა, კვალიფიკაციის მისანიჭებლად კრედიტების სავალდებულო რაოდენობის ვერმიღება/მიღების შეუძლებლობა პროგრამით სწავლის გაგრძელებისთვის გათვალისწინებულ ვადაში); 6) სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება (წინამდებარე შინაგანაწესით დადგენილი დისციპლინური დარღვევები, რომლებიც იწვევენ სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას); 7) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც გამოტანილია ისეთი ქმედების ჩადენისთვის, რომელიც ამ შინაგანაწესით წარმოადგენს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს; 8) პირის გარდაცვალება, კანონმდებლობის შესაბამისად პირის ქმედუნაროდ ცნობა, მოქმედი კანონმდებლობით სხვა გათვალისწინებული შემთხვევები. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის გადაწყვეტილებით სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია სწავლების ნებისმიერ ეტაპზე. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება რექტორის ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ, დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და მას შეუძლია ისარგებლოს მობილობის უფლებით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება ხდება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

ბნსუ-ში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება მხოლოდ სტატუსშეჩერებული სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერებიდან არაუმეტეს 5 წლის განმავლობაში. ფინანსური დავალიანების, ფინანსური ვალდებულებების/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტატუსის აღდგენისთვის აუცილებელია დარღვევის აღმოფხვრა.